ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
ოქმი N5

23 ივლისი, 2025 წელი

დაბა ქედა

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 13:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე -კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი.
შორენა კარანაძე- კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამხმარე მოსამსახურე - სპეციალისტი საკრებულოს კომისიების საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებში - თეონა ჯინჭარაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

23.07.2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
5	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
6	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
7	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	
8	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი;**

მომხსენებელი: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე

2. **„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი;**

მომხსენებელი: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე

1. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2025 წლის 09 ივლისს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა (განცხადების ნომერი 12-95251901-95; განცხადების თარიღი: 09.07.2025) დადგენილების პროექტი „ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესი აწესრიგებს ქედის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანი შეხვედრების, მიღებების, სემინარების, კონფერენციების მოწყობასთან, სახელმწიფო ორგანოების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სხვადასხვა ორგანიზაციების, ასევე საზღვარგარეთის წარმომადგენელთა მიღებასა და მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში და უზრუნველყოფს ამ მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას. ასევე წესში დეტალურად განსაზღვრულია წარმომადგენლობით ხარჯებს თუ რომელი ღონისძიებების ხარჯები განეკუთვნება, დაფინანსების წყარო და ფინანსური სახსრების ხარჯვის წესი.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

2. **მოსმენილ:** სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2025 წლის 21 ივლისს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა (განცხადების ნომერი 12-95252026-95 განცხადების თარიღი: 21.07.2025) დადგენილების პროექტი „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დადგენილებაში ცვლილების შეტანა განპირობებული იყო იმით, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს დაემატა 2 საშტატო ერთეული „პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში“ და „მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში“ სადაც განხორციელდა ჰორიზონტალური გზით „პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში“ და „მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში“ დასაქმებული პირების გადაყვანა, შესაბამისად რადგანაც ეს პროცესის დასრულდა არსებული ორი შტატი უნდა გაუქმდეს (ამოღებული იქნას).

აქედან გამომდინარე საშტატო ნუსხიდან აღნიშნული შტატები ამოღებული იქნა, ხოლო დადგენილებით დამტკიცებული დანართის სხვა ნაწილები დარჩა უცვლელად.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 13:00 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **ვაჟა აბულაძე**

ოქმი შეადგინა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამხმარე მოსამსახურე - სპეციალისტი საკრებულოს კომისიების საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებში **თეონა ჯინჭარაძე**